



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 4 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №169/22
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 7 ოქტომბრის №169 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 11 ოქტომბრის №621/169-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოებები:

1.1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო მიიღო უკანონო დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

1.2. ამასთან, მოსამართლემ დაარღვია საქმის განხილვის კანონით განსაზღვრული საპროცესო ვადა.

1.3. საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ მან მოსამართლეს მოსთხოვა სააღსრულებო ფურცლის გამოწერა 2022 წლის 14 ივლისის განჩინებაზე, თუმცა თანაშემწემ მას განუმარტა, რომ განჩინება არ იყო შესული კანონიერ ძალაში, ვინაიდან მეორე მხარეს არ ჰქონდა ჩაბარებული. საჩივრის ავტორის აზრით, მოსამართლის მითითებით განჩინება არ გაეგზავნათ მხარეებს.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 21 მაისს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ, ქონების უკან დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (-- ლარი).

2020 წლის 22 მაისის განჩინებით --- შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო მოპასუხის საბანკო ანგარიშებს.

ვინაიდან სარჩელი მოპასუხეს ვერ ბარდებოდა, 2020 წლის 3 ივლისის განჩინებით, მხარისათვის გზავნილის ჩაბარება დაევალა პოლიციას. ვინაიდან მოპასუხეს ვერ ჩაბარდა სარჩელი, 2020 წლის 8 სექტემბრის განჩინებით გზავნილის ჩაბარება მოხდა საჯარო შეტყობინების გზით.

2020 წლის 22 ოქტომბერს მოსამართლემ ჩანიშნა მოსაზმადებელი სხდომა, რომლის შესახებ მოპასუხეს -- -- აცნობა საჯარო შეტყობინების გზით. აღნიშნული სხდომა ქვეყანაში გავრცელებული ვირუსის გამო

(covid-19) გადაიდო 2021 წლის 28 იანვარს. მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა. მოსამზადებელი სხდომა გადაიდო 2021 წლის 23 თებერვალს.

2021 წლის 28 იანვრის განჩინებით მოპასუხეს საჯარო შეტობინების გზით ეცნობა სხდომის შესახებ, ასევე პარალელურად მისთვის გზავნილის ჩაბარება 2021 წლის 1 თებერვლის განჩინებით დაევალა პოლიციას.

2021 წლის 23 თებერვალს გამართულ სხდომაზე მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო. გადაწყვეტილების შესახებ მოპასუხეს ეცნობა 2021 წლის 1 მარტის საჯარო შეტობინების შესახებ განჩინებით.

2021 წლის 23 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2021 წლის 23 ივლისს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად მიღება. 2021 წლის 29 ივლისის განჩინებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის ვადა გაგრძელდა 2021 წლის 11 აგვისტოს განჩინებით. 2021 წლის 25 აგვისტოს განჩინებით წარდგენილი განცხადება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქის წარმოების განახლების შესახებ მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

2021 წლის 26 აგვისტოს განჩინებით -- -- განცხადება არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით. საქმე გადაიგზავნა ზემდგომ ინსტანციაში 2021 წლის 22 სექტემბრიდან.

2021 წლის 25 ნოემბრის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა -- -- სასამართლოს. საქმე პირველ ინსტანციაში გადაიგზავნა 2021 წლის 13 დეკემბრიდან.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 15 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა 2021 წლის 23 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება. განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით, რის გამოც საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში 2022 წლის 25 იანვარს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 იანვრის განჩინებით კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი. საქმე პირველ ინსტანციას დაუბრუნდა 2022 წლის 14 თებერვლიდან.

2022 წლის 2 მარტის განჩინებით -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა -- -- მიერ. 2022 წლის 30 მარტის განჩინებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმე გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს განსახილველად. -- სააპელაციო სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე საქმე 2022 წლის 4 მარტიდან - 2022 წლის 13 ივლისამდე გაიდაიგზავნა ზემდგომ ინსტანციაში (-- -- განცხადების განხილვის მიზნით).

2022 წლის 14 ივლისის განჩინებით -- -- განცხადება დაკმაყოფილდა. შეჩერდა სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. -- -- აკრძალა უძრავ ქონებაზე სამშენებლო სამუშაოების ჩატარება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. აღნიშნული განჩინება გაეგზავნათ მხარეებს 2022 წლის 22 აგვისტოს.

გზავნილი ჩაბარდა -- -- წარმომადგენელს, -- -- დირექტორის მამიდას, -- --, ხოლო -- -- არ ჩაბარდა და განმეორებით გაეგზავნა 2022 წლის 7 სექტემბერს.

2022 წლის 14 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- --. კერძო საჩივრის განხილვის მიზნით საქმე 2022 წლის 29 სექტემბრიდან - 2022 წლის 24 ოქტომბრამდე გადაიგზავნა ზემდგომ ინსტანციაში.

2022 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარი დაკმაყოფილა, გაუქმდა -- -- სასამართლოს 2022 წლის 14 ივლისის განჩინება, რომლითაც შეჩერდა სააღსრულებო წარმოება და -- -- აკრძალა სამშენებლო სამუშაოები, ხოლო -- -- განცხადება არ დაკმაყოფილდა.

საქმის განხილვა მიმდინარეობს -- -- სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი

დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოსამართლე ---, 2021 წლის 23 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი) მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. კონკრეტული საკითხის შეფასება მოსამართლის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების თუ გადაწყვეტილების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. შეწყდეს --- 2022 წლის 7 ოქტომბრის №169 საჩივარის საფუძველზე მოსამართლე --- მიმართ არსებულ დისციპლინური სამართალწარმოება, განჩინების კანონიერების შემოწმების ნაწილში.
2. --- 2022 წლის 7 ოქტომბრის №169 საჩივარზე მოსამართლე --- მიმართ გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სხვა გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი